

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვა გამაერთიანებელის კანცელარიის ფასი განცხადების: ჩვეულებრივი სტრუქტურის პირველი გვერდი 16 კაპ., მეოთხედი — 3 კაპ.

ივერიის

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შაბათს, 8 აგვისტოს,

თავარი სოლომონის ასულის ქართველიზვილის

გარდაცვალების მეორე დღეს

გარდახდული იქნება წირვა და პანაშვილი დიდუბის ეკლესიაში, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ბიორგზი დავითის ძეძა. **თველიზვილი** შვილებითურთ. დასაწყისი წიგნისა დილის 9 საათზედ, პანაშვილისა 11 საათზედ. (2—122—2)

კვირას, 9 აგვისტოს,

საზაფხულო თეატრში (მიხეილის ქ. იუნკრის სკოლის პირდაპირ)

ზ. მ. საზარკოვი სცენის მოყვარულთა დახმარებით დასდგამს

მზის დაბნელებას

კომ. 3 მოქმ. ანტონოვისა

დასასრულ იქნება **დივარტისკენი, ლეაჟური** და **ბუნდოვანი** სურათები.

ადგილების ფასი 10 კაპეიკადან — 1 მან. 50 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზედ. (2—უ.—1)

ბირეული კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუთვიაში, ვორცხის ქვების პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღამოს 5 საათი, ვენერიული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვლისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.**

10¹/₂—11¹/₂ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუტრის.

ზ. ი. ბაზანსაიანი. — დილის 11¹/₂—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაბეგიაიანი. 1—1¹/₂ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგო. 1¹/₂—2¹/₂ ს. შინაგანი, და საზარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ. საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6¹/₂—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს. სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწვრილს ფასი ათი შაური; არბითათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра Навасариани.

Тифлиси, противъ памяти. Воронцову. (7)

მორფოლოგია

მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის ქრისტეს მიერ საუბარ რქენო შეიღონ!

ქალაქ ტფილისიდან ჩრდილოეთით ოცის კერის მანძილზედ, სწორედ იმ ადგილს, სადაც მდინარე არაგვი კართვის მდინარე მტკვარს, გასწავლილი მცხეთის, ოდესმე სასულიერო დედა-ქალაქი, ქართველ მეფეთა და პატრიარქათა ღირსი სამეფო ადგილი, სოლო აწ მიწის და უპოვარი სოფელი, მიმდებარეობდა ადამიანის ყურადღების იმით-და, რომ მის შუა გულში აღმართულია ქრისტიანული სიძველესი დადიანობა, წმიდათა ათორმეტთა მონასტრისა საკრებულსო ტაძარი, რომელსაც ქართველები უწოდებენ სვეტი-ცხოველს. სვეტი-ცხოველი წარმოადგენს ქართველთა წმიდა ეპიპას, მის დიდებასა და სიამაყეს, მათ შეურყეველ მართლ-მადიდებლობის მოწმეს; იგი საქართველოს მრავალ მეფეთა და ქათალიკოსთა განსასვენებელი და უძველესი ადგილი, სადაც ინახებოდა ისეთი უდიდესი სიძველე ქრისტიანობისა, როგორც უკერძო კართათა უფლისა.

ადრეული საუბრე (კართთა უფლისა), ღვთის სამოსლისა გაყოფის შემდეგ მცხეთის კართთაში მონაწილეთა შორის, ერგო მცხეთელ ურთის კლიოზის, რომელმაც მოიტანა იგი მცხეთაში თავისის აერუსალიმისაგან დაბრუნების შემდეგ. და კლიოზისა, მართალი სიღონისა, აღმართული ღვთის შთაგონებით, სწორედ გამოკვლია სახლი მომავალ მას, გამოსთხოვა ყოველად უბიწო მართლმადიდებელს სულ ნამუშევარი კართთა ქრისტესი, ეპიპას კართთა უდიდესი სიძველესი და ღმრს სასოებით შეიტანა იგი თავისს ქალაქს მკერდს, განსასვენებელი არს ღმერთი საქმეთა შორის თავისთა სიღონისა, შემდეგ კართთის მიღებისა, მეფეებულად მიიღეს და რადგან შეურყეველი განსასვენებლის სამოსლის მის ხელთაგან გამოართმევა, იგი დამარსეს სხენებულ სამოსლითურთ. სასწაულისა ზრდი ცხენ მსოფლიო დიდის ხნის განკლებს შემდეგ: ადგილი მცხეთის კართთის დაქრძალების აღმოჩენა ღვთის მიერ განმარტებულად საქართველოში პირველ ქრისტიანულ სამღვდელს აღსაშენებ-

ლად. ყოველივე ეს განცხადდა ივერიის განმანათლებლის, მონაწილეთა სწორის, ქალაქის ნინოს დროს, როდესაც წმიდა ეპიპასიდან მის მიერ აღმოშობილმა მართლმადიდებელთა თავისს წაღვარებაში მართლის სიღონისა საფლავზედ ასვენებულსა წმიდათა დიდებულთა ათორმეტთა მონაწილეთა სახელდასახვად. ამ ხელ და ხელ აშენებულ ხის ეკლესიის მავიკრად, მესუთო საუკუნეში, განსწავლეს გორგასიანის დროს, აეგო საკმაოდ მოზრდილი ქეთიკარის ეკლესიის, რომელიც შემდეგში განსასვენებელია ქათალიკოსებისა კათალიკოსად. რვაას წელიწადზედ მეტი იდგა უწყველად ეკლესიისა და მსოფლიო 1318 წელს დაანგრია იგი საშინელი მა მიწა-ძვრამ. ამჟამად აღგას აღმართული ტაძარი გორგი VI, ბრწყინვალედ წოდებულმა, და საზოგადოდ გამაყვანა იგი ალექსანდრე I-მა მეთხუთმეტე საუკუნეში. იმ დროდგან მოკლებული დღევანდელად სვეტი-ცხოველის სასტუმროდ შეაშენებულ იქნა, სოლონი გუმბათი, ხელაგურის თვლისა ქვის სახურავი, სოლონი განაგებობით განაგებოდა თვლისა და ქანდაკები კედლებისა, აკვირებდნენ და აკვირებენ მხარველს, აწვიდნენ და აწვიდნენ უფლის ბუნდობი ღვთის დიდებისა ზრდი და ქედს ასრულებდნენ ამ საღმრთო სალოცავის წინაშე იმ გვარ ქრისტიანობის მტარვალთაგან, როგორც იგი მსახურსა შარველი.

სამწუხაროდ, ტაძარი ესე განაგებოდა მტრეთა რისხვას, კერძოდ უფლისა შემოქმედის დროს: სამსრეთის მზის მძლავრთა სხივთა, მწკვი გრძელისა და სხივი წვიმების მანე გაკლებს მიზრით სრულად დაძველდა და გამოქრდა სახურავის დამოყვანი და კედლ იჭრეს წყლის, რის გამოც სინესტეიტისა გუმბათის შინაგანს. უფლებად და უზრუნველ განსაოცრის ხელაგურით განაგებობით თვლისა, რომელიც იმაგურს გუმბათისა და სახურავს, ყოველ წამს ჩამოვარდნის ქვებისა გამოქრდა ამასთანავე ის თვლისა ქვა, რომელიც შეადგენს ტაძრის კედლებისა გართა შირს და თან და თან იდუბება იმის მდინარე ორნამენტისა, რომელიც შეადგენს ქართული საეკლესიო ხეობით მომდებრების დამასათვლებს კუთვნილებას; განქრდა სრულად კედლებზედ მხატვრობა al fresco, რომელიც საესე იყო სვეტი ცხოველი მართლმადიდებელსა შემოქმედს; ამ მხატვრობის მდინარე-და კვალი სამსრეთ კედლის ნაწილზედ და დიდებულსა სასე მცხეთისა საკურთხეველში უმეტესად სასურათებენ ამ საკვალი მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება დღეს სხენებულ ტაძარს.

საქართველოს ეკლესიის ექსარხისი, რომელთაც ესენ უწოდებენ მიტროპოლიტთა ტიტული, ყოველ დღისადაც სხარდებდნენ, რომ განაგებობით ტაძარი სრულად დაძველდა და ჭიჭიჭობდნენ შემდეგისთვის მისს ადგენასა შირვანდელის სახით, მაგრამ ამ საღმრთო აზრის განხორციელება თხოვლობს დიდძალს ფულს: მდინარე კართთა გამოანგარებობით ტაძრის შესაფერ შეკეთებას და სჭირდება 200,000 მანეთამდე და ტაძრისა არსადგან არა მოკლებულსა არს. რადგან ტაძრის ადგენისათვის გამოანგარებულ ფულს შეკრება ადგილობრივ დიდთ სამოქალაქისა, სოლო ტაძრის, როგორც სხინო მკვლეს, დიდი მნიშვნელობა აქვს საქრისტიანო ქვეყნიერობისთვის, ტფილისში დასრულებულია კომიტეტი უმადებისა და უმართებელსა სინოდის შესაგრობობით სთხოვა მისი იმპერატორისთვის უდიდეს ფულსა ნება-რთვა მთელს იმპერიაში ფულსა შეკრებასა ადრეულად საგანისთვის. კომიტეტის თხოვნა შეწყნარებულ იქნა და გამოიცა ყოველად უმადებისა ნება-რთვა ფულს მთავრობისა მთელს იმპერიაში. ამასთვის კომიტეტი მიჰმართავს მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის თვითფულს შეიღს და სთხოვს მძურს შევლა-დასმარებას.

მისი მართლმადიდებლის ეკლესიისა, რომელნიც სხარდებდნენ უფლისა ღვთისადაც ღვრცას, უფლისა და მდგომარეობის მართლმადიდებლობის მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის სიტყვითა და საქმით, ქრისტეს მოყვარე მკერდობა მდგომარეობს სახმელაგას ყველა სარწმუნოებისა, ტარტისა და მამულისა, მსუიდეგენო და განსუიდეგენო, რომელთა გიყვართ და ხელს უწყობთ ყოველს კეთილს და ღვთის სასამო საქმეს, მართლმადიდებელნი ქრისტიანობის სრულად ივერიისა, ყველას ერთად მოკმარებთ კომიტეტი და გულ-მოდგინედ გვედგებთ უფლისა იესო ქრისტესი და მისთა ათორმეტთა მონაწილეთა სასულიერო შესწავლას, ვისაც რა შეგიძლიათ, სასულიერო განის სვეტი-ცხოველის ადგენის საქმეს. შეწარმუნებანი შეიძლება გაავსახნოს ქ. ტფილისის სინოდის საქართველოს განტარებაში.

თავმჯდომარე კომიტეტისა, საქართველოს ექსარხისი, მთავარ-ეპისკოპოსი **ფლავიანი**. თავმჯდომარეს ამხანაგი **ლეონიდი** ეპისკოპოსი გორისა.

მთავრობის განკარგულებანი
—
გადაყვანილ იქმნენ კანცლარის მოსჯელნი: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცლარისა — ივანე კახიანი, ქუთაისის საგუბერნიო გამგებობისა — სიმონ ბერძნიშვილი და მასეალ დავითაშვილი — ქუთაისის სასახლისა ზღატაში.

სი ფლობიანე გუმან, 7 აგვისტოს, მარტყოფის მამა ანტონის მონასტრიდან ჩამობრძანდა ტფილისს.
* ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი კოჯრიდან ტფილისს დაბრუნდა და გუმან დილით გორის მარაში გამგზავრა. გორიდან ბნი გუბერნატორი შაბათს, 8 აგვისტოს, დამით ტფილისს დაბრუნდებ.

ახალი ამბავი
* გუმან ტფილისს ჩამოვიდა ს. ქვიშეთიდან საბეთალო ინსტიტუტის ორდინარ პროფესორი გ. პ. კირილოვი, რომელიც დღეს ქალაქის საყსაბოს დათვალვიერებს და შემდეგ ქ. კახანს გამგზავრება.
* მისი მართლ-ყოვლილ უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხო-

* ხუთშაბათს და პარასკევს ივერიის ეკლესიაში დეკანოზმა მამა გურგენიმ კიდევ 20 ისორი შეუერთა მართლ-მადიდებელ ეკლესიას. ამ ჟამად ორი ათასზე მეტი ტფილისში მცხოვრებნი ისორი-ნესტორიელი შეუერთდნენ მართლ-მადიდებელთა ეკლესიას.

* შინაგან საქმეთა მინისტრმა ტფილისის გუბერნატორს თ. ა. ბიკოვს დეპეშით აცნობა, რომ სამინისტრომ გადასდო კიდევ 10,000 მან. იმ ქირით ავადმყოფ საქონელთა პატრონის დასაცმყოფილებლად, რომელთა ქირიან საქონელსაც დახმობავს აღმინისტრაცია.

* ატენის ხეობაში ბეთალო ვიქტივის უკვე დაუმთავრებია საცდელად საქონლისათვის ქირის აცრა. აცრილი საქონელი თურმე ქირით ავთ აღარა ხდება.

* პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გუმან ვარჩია 10 საქმე ქალაქის გამგებობის მიერ შედგენილ ოქმებით, მთვან რვა ოქმი შედგენილი ყოფილა სახლის პატრონებზე მისთვის, რომ მათ თავიანთ სახლების წინ არ გაუკეთებიათ ტროტუარები და ორი ოქმი კი შედგენილი ყოფილა ფურნისა და მებაშეს სადგომის უსუფთაობაზე. მომრიგებელმა მოსამართლემ ყველა თითო თუმნით დააჯარიმა.

* რადგანაც ქუჩების დასუფთავებას ეხლა სახლის პატრონები არიან ვალდებულნი, ამის გამო პირველ აგვისტოდან ქალაქის გამგებობამ დაითხოვა 64 მუშა, რომელნიც ქუჩებს ასუფთავებდნენ. ეს მუშა ხალხი ამ უდიდეს რაჩინენ უფლებად დაღუპულთა ქალაქის გამგებობის მიმპარეს თხოვნით: ან ისევე უკან მიგვიღეთ და ან რაიმე საქმე გავვიჩინეთ, რომ შიმშილით არ დავიხოცნეთ ჩვენის ცოლ-შვილითაო. ქალაქის გამგებობამ გუმან განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა, უარა გამოეცხადათო.

* ამას წინაღ ჩენს ვაზეთში მოხსენებული იყო, რომ ტფილისის გუბერნატორმა მოსწერა ქალაქის გამგებობას, რომ ქალაქმა ფულით შემწეობა მისცეს უსინათლოთა სკოლას ტფილისში, რადგანაც მომეტებული უსინათლონი ქალაქ ტფილისის მცხოვრებელნი არიანო. ქალაქის გამგებობამ თავისს უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, ქალაქის საბჭოს დაუზადოს მოხსენება კუკის სამკურნალოში თვლით ავადმყოფების განყოფილების დაარსების შესახებ.

* ფაბრიკების, ქარხნების და სხვა-და-სხვა საქალაქო და სახელმწიფო შენობების დასაფასებლად ქალაქის გამგებობამ მიიწვია ინჟინერი ეგიაზაროვი, რომელსაც თვეში თხოვნილი თუ ნი დაუნინა.

ტფილისის გუბერნატორის საგანგებო კომისია დაუნიშნავს კავკასიის წყლებს ინსპექტორის თანხმობით მდ. მტკვრის ნაპირების დასაფარავად და დასაწინააღმდეგებლად იმ წრისა, რომლის იქითაც მტკვრის ნაპირზე შენობების აშენების უფლება არ უნდა მიეცეთ, რადგანაც წყალდიდობის დროს ამგვარი შენობები მდინარეს ავიწროებენ და წყალი რიყის ქუჩებს და ქალაქის სხვა-დასხვა დაბალ ადგილებს ჰლეკავს ხოლმე. ამ კომისიაში ბ.ნ. გუბერნატორის დაუნიშნავს ინჟინერი გიორგი ივ. 1 ოქტომბერს, საგუბერნო ინჟინერი კ. ც. ბუტკევიჩი და ქალაქის წარმომადგენელი. ქალაქის გამგეობამ ბ.ნ. გუბერნატორის ბრძანებისამებრ თავის მხრივ დაუნიშნა ამ კომისიაში ქალაქის ინჟინერის თანამდებობის აღმასრულებელი.

ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა ბრძანება დაუგზავნა მახარის უფროსებს: წინადადება მიეცეთ წიგნთ-საცავების პატრონთ გამოკვლევას და იმათ, რომელთა წიგნთ-საცავებიც დაარსებულია საგუბერნო მთავრობის მიერ დამტკიცებულის წესდების ძალით, გამოკვლევონ ამ წესდების კაპით. თუ წიგნთ-საცავი დაარსებულია გუბერნატორისაგან აღებულ მოწოდებით, მაშინ გამოგზავნილ იქნას შემდეგი ცნობები: სად არსებობს წიგნთ-საცავი, ვისის ხარჯით არის დაარსებული და რითაა უზრუნველ-ყოფილი წიგნთ-საცავის არსებობა.

სამშაბათს, 4 აგვისტოს, ტფილისის საგუბერნო გამგეობას კრება ჰქონდა. კრებაზედ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, სოფელი კურდღელაური უნდა მიეწიროს თუ არა ქალაქ თელავს. ეს საგანი აღძრა ერთმა ადგილობრივმა მემამულემ, რომელმაც საგუბერნო გამგეობას მიმართა და სთხოვა ჩემი მამული, რომელიც კურდღელაურშია, თელავს მიაწიროთ. გამგეობამ დაადგინა შედეგით ამ საგნის შესახებ თელავის

თვითმმართველობას და აგრეთვე მოსახლეობის ცნობები ამავე საგნის შესახებ თელავის მაზრის უფროსს. როგორც თელაველები, ისე კურდღელაურელები გულთი არიან მოწადინებული, რომ ეს სოფელი ქალაქს შეუერთდეს.

კავკასიის სხვა-დასხვა კუთხიდან უკვე ჩამოვიდნენ ტფილისში დეპუტატები, რომელნიც ამ დღეებში წავლენ მოსკოვში იმპერატორის აღექვანდრე II-ის ძეგლის კურთხევად დასასწრებლად.

მისაღები ეგზამენები ტფილისის რეალურ სასწავლებელში მოხდება 26, 27 და 28 აგვისტოს.

ოზურგეთიდან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ პირველ ნაწილის მომრიგებელი შუამავალი თავ. წულუკიძე თანამდებობას თავს ანებებსო.

გაზ. „რახ.“ სწერს, რომ ფინანსთა სამინისტრომ ცნობები მოსთხოვა კავკასიის უმაღლესს მთავრობას ტფილისში დასაარსებლად განზრახულ საკომერციო სასწავლებლის დარექტორისა და ინსპექტორის არჩევის წეს-რიგის შესახებო.

გაზ. „მშაკი“ სწერს, რომ ტფილისის სომეხთა ანანოვის სახელობის სასწავლებლის სამზრუნველომ საერო განათლების სამინისტროს მოხელეთ გადასცა ამ სასწავლებლის შენობა, ფული და ქარვასლა ანანოვისაო, რომელსაც ამ უამად განაგებს საერო სასწავლებლების ინსპექტორიო.

ზანის ოსება. ბარის ოსებაში წელს დიდი სიმინდის მოსავლის იმედი აქვთ. თუმცა ზოგან გვიან დაითესა სიმინდი, მაგრამ მაინც ძლიერ მშვენიერია ჯერ ჯერობით სიმინდის ყანები. ძალიან კარგი მოსავალი იყო აგრეთვე პურისა და ქერისაც. თივას ხომ თქმა აღარ უნდა. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას წვიმებმა მოასწრო გათიბულ თივას და გააფუჭა. საზო-

გალოთ, წელს აქეთ, როგორც ბარათ, ისე მთებშიც, პურისა და ქერის მოსავალი ძალიან კარგი იყო და სიმინდისაც ჯერ-ჯერობით კარგი პირი უნდა, თუ მთაში წვიმებმა არ წახდინეს.

გაზ. კვირას, 2 მარამობისთვის, გორში ყაზარმებთან, მოჰკლეს ღამე გორის რაზმის კაპიტანი ვარანკოვი. გარემოება ამ საქმისა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს ვიცით: როგორც სჩანს, უნტერაფიცერი დოლობერიძე მისულა ვარანკოვთან, როცა ის დასერიანობდა კაზარმებთან და ხანჯლის ორი დაკვირთ ბოლო მოუღია იმისთვის. თან ტომარა ჰქონია, ჩაუდგია შიგ მოკლულის გვამი და მოუხლართია პირი. უბრძანებია ორი ჯარის-კაცისათვის, რომ იმათ წყევლოთ და მტკვარში გადაეკლათ. ჯარის-კაცებს, რაკი უნახავთ, რომ შიგ მკვდარი კაცი ყოფილა, თურმე არ მიჰქონდათ, ის-კი არა სცოდნიათ, თუ კაპიტანის გვამი იყო, მაშინ დოლობერიძეს რევოლვერი ამოუღია და დაჰშუქებია, აქვე თქვენც დაგზოცავთ, თუ არ წაიღებთო. აუღიათ იმათაც და მტკვარში გადაუდგიათ. მეორე დღეს მეთევზეებს უბოგნიათ. დოლობერიძე და ის ჯარის-კაცები შეიპყრეს. სახედრო გამოძიებელი მოვიდა. სასტიკი გამოძიება. სისხლიან ადგილს დარაჯები უყენია. ვარანკოვს წვრილ შვილი დარჩა. დოლობერიძე წარმოსადგვი ვაჟაკია.

სოფ. ჩუნჩხა, (ჯავახეთი). 1 აგვისტოს, ნაშულაძევის მ საათზედ, სოფ. ჩუნჩხაში საშინელი მიწის ძვრა იყო. ნამძინარეებს შემოგვესა არა ჩვეულებრივი გრგვინვა, ოთახების ქერებიდან საშინელი ქახა-ქუხი, მიწის ცვივნა, კედლების და იატაკქერის მკაფიოდ და თვალ-საჩინოდ ნძრევა; ოთახში სკამებმა და ყოველმა ავეჯმა მოძრაობა და აქეთ-იქით გადაცივნ-გადმოცივნა იწყო. კედლებიდან ცვივდა ზედ დაკიდული თოფ-იარაღი, ქურქული და სხვა. კარებებს და ფანჯრებს შესახარად გაჰქონდათ წვილ-ჭრიალი. პირ უტ-

როგორც მკითხველებმა უკვე უწყინან, ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად ნამყოფი არქიმანდრიტი გერმოგენი, დანიშნულ იქმნა ამავე სემინარიის რექტორად, არქიმანდრიტის მამა სერაფიმის ალაგას, რომელიც ეპისკოპოსად იქმნა გადაყვანილი რუსეთში. არქიმანდრიტი მამა გერმოგენი (ერობაში გიორგი ეფრემის ძე დოლოვანიოვი) ხერსონის გუბერნიის დეკანოზის შვილია. მამას უნდოდა, რომ შვილი მღვდლად გამოეზარდა და ამიტომ, ოდესის სასულიერო სემინარიაში მიესცა. უმაწილი კარგად სწავლობდა, მაგრამ მომავალი მღვდლობა არ მოსწონდა და ამიტომ მესხეთე კლასიდან გამოვიდა. შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში გათავების ეგზამენი დაიჭირა და იმავე წელს საიმპერატორო ნოვოროსისისკის უნივერსიტეტში შევიდა. 1889 წელს მისის 9-ში გიორგი დოლოვანიოვი დაასრულა სწავლა ნოვოროსისისკის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზედ. იმავე წელს 26 აგვისტოს პეტერბურგის

სასულიერო აკადემიაში შევიდა და ბერად შედგომა განეზარდა. 1890 წელს 28 ნოემბერს ბერად იქმნა აღკვეცილი და სახელად გერმოგენი ეწოდა. როცა გერმოგენი მეოთხე კურსზედ გადავიდა, ხელ დასხმულ იქმნა მღვდელ მონოზნად. სასულიერო აკადემია მღვდელ მონაზონმა გერმოგენმა 1893 წელს დაამთავრა და იმავე წელს შემოდგომაზე უწმ. სინოდის განკარგულებით დანიშნულ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. შარშან, 1897 წელს მამა გერმოგენმა არქიმანდრიტობა მიიღო.

წმილი მშათისიღება
(საკუთარის კარესპონდენტი საგან)
ქ. ქუთაისის საბჭოს კრება 3 აგვისტოს

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი თავზანი, მშვიდობიანი და ალერსიანი სხდომა ქუთაისის საბჭოს დარბაზში ჩვენ კარგახანია არ გვიჩანავს. ქალაქის მოურავიცა და ხმოსნებიც თითქოს ერთმანეთს ელერსებიან და ეთავაზებიანო. მკვახე-მკვახე სიტყვებს აქ ადგილი აღარა ჰქონდა; ლაპარაკის დროს სრული ნდობა იხატებოდა ერთმანეთისა, თითქო არაოდეს ცხარე შეტაკება და ბრძოლა არა ჰქონიათო. ალბათ, როგორც ქალაქის მოურავს, ისე ძველ ხმოსნებს გრიდებოდათ ახალის ხმოსნებისა, ან იქნება იმიტომ მოხდა ეს იშვიათი მოვლენა, რომ გასარჩევი საგნები მეტად სერიოზული და საგულისხმიერო იყო.

წარმოიდგინეთ, ქუთაისი ყოველ ღონესა ღონობს, რომ თავის უფროსს მძის ტფილისს კეთილ მოწყობილებში არ ჩამორჩეს. თუმცა ქუთაისის რიონის წყალით აქამდის თავი მოსწონდა, მაგრამ ეხლა გაუწყურა მას და წყაროს წყალი ჰსურს გამოიყვანოს, რომ ამ მხრითაც გაუტოლდეს ტფილისს. მოგეხსენებათ, ამ ოთხი-ხუთის წლის წინათ აქ ლაპარაკი აღძრა ზოგიერთ დაწესებულებათა საზაფხულოდ ქუთაისიდან გა-

ფელიტონი

წმილი ინგლისიღება
(საკუთარის კარესპონდენტი)

სეზონი თავდება.—ლონდონი თან და თან ცალიერდება.—კიდევ ღარიბ უბნებზე.—იტალიელები და ფრანგების უბნები.

ერთის კვირის შემდეგ გათავდება პარლამენტის სესია და ბ.ნ. კანონ მდებელნი განთავისუფლდებიან სამის თვის ვადით და მიეცემა მოსვენებას. ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ წლეულ ვერაფრით ისახელეს თავი ამ მოღვაწეებმა. მართლაც და დიდი ხანია, რაც ინგლისელებს არ ახსოვთ, რომ პარლამენტის უმრავლესობა ასე უნიჭო კაცებისაგან ყოფილიყოს შემდგარი.

სოლსბერის კაბინეტის დამარცხება დიპლომატიაში სომეხთა, კანდიისა და საბერძნეთის საქმეში; დამარცხება ჩინეთში; უნაყოფო და სასტიკი ბრძოლა ინდოეთის წიდილებთან; უსიამოვნება ტრანსვალის რესპუბლიკის ბოიკოტთან, უსიამოვნება ვენეცუელასთან—ამ ამას უანდერძებს ისტორიას გარეშე საქმეთა პოლიტიკა

პარლამენტის ეხლანდელი უმრავლესობა მინაურ საქმეთა პოლიტიკისა ინგლისის ეხლანდელ მთავრობისა მგონია, უფრო ცუდათ არის. ბრძოლა მუშათა ძლიერ კავშირებთან, ბრძოლა თვით მართველობის წინააღმდეგ, ახალის კანონების შემოღება მდიდარ მემამულეთა სასარგებლოდ, ბრძოლა სამოქალაქო სწავლა-განათლების წინააღმდეგ, დამახინჯება საეკონომიო და საზოგადო რეფორმების კანონმდებლობისა—რომლებიც უანდერძა პარლამენტს გლადსტონისა და როზბერის ლიბერალურმა კაბინეტმა—ამ ეს გახლავთ ეხლანდელის პარლამენტის უმრავლესობის პოლიტიკა შინაურ საქმეებში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ვერ შესცვლის და ვერც შეაჩერებს ცხოვრების განვითარებას, ევოლიუციას ანუ განვითარებას აწინდელის კაცობრიობისა და განსაკუთრებით ინგლისისა თან მოსდევს განვითარება ადგილობრივ სამოქალაქო და საერო თვითმმართველობისა, საზოგადოებათა და კოოპერაციების გამრავლება და განვითარება და ადამიანის მიერ ადამიანისავე დაჩაგვრის აღაგება. კონსერვატიკურ მთავრობის წარმომადგენელმა გო-

ნაირმა... როგორც მაგალითად, ბალფური, რიჩი, გებენი და რიდლფი, კარგად იციან, რომ ისტორიულის განვითარების შეჩერება ანუ გზის შეცვლა ყოველად შეუძლებელია და მთავრობა ამ საქმეში ვერაფერს გააწყობს. მაგრამ პარლამენტის უფერულისა და უნიჭო უმრავლესობის სასიამოვნოდ ემხრობიან ისეთს კანონ-პროექტებს, რომელიც აჯავრებს არა თუ ლიბერალურ უმცირესობის მომხრეებს, არამედ მთელის ინგლისის განათლებულ კაცებს.

საზოგადოების წყენა იხატება არა თუ მარტო მიტინგებითა და საუკეთესო ჟურნალ-გაზეთების წერილებით, მარტო ეს რომ იყოს, ვიტყვით, რომ მთავრობის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი დასი შემდგარა. უკმაყოფილება ჩინს ხოლმე მთავრობის მომხრე გაზეთებში, და საგაქრო კოოპერაციების განცხადებებში და ახა ვაჭრებს ვინ დასწამებს—რადიკალები არიანო. განსაკუთრებით იჩინა თავი უკმაყოფილებამ დამატებით არჩევანებზე. 1895 წლიდან კონსერვატორებს უკვე ათი ადგილი მოაკლდათ პარლამენტში, ხოლო რაც ადგილები შერჩათ, ისიც ისეთის მცირე უმ-

რავლესობის წყალობით, რომ გამარჯვება დამარცხებას უდრიდა და კონსერვატორებს თამამად შეუძლიანთ სთქვან, ვითარცა სთქვა პიროსმა: „ერთი ასეთი გამარჯვება კიდევ და დავიღუპებით კიდევ“!

ლონდონელებმა აღარ დაუტადეს პარლამენტის კრების გათავებას და თავს ანებებენ ამ კვარტლიანსა და მოსაწყენს ქალაქს. სკოლები დაიკეტა, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა მოხელეები დათხოვილ იქმნენ ერთის თვის ვადით და ყველანი მიეშურებინ ხმელეთისაკენ, მიღიან სოფლად, ზღვის ნაპირას. მოგზაურობის მოყვარე ინგლისელები მიაცილებიან შვეიცარიასა და ნორვეგიას, კონადასა და ტიროლს და უზარმაზარი ლონდონი გადასახლდება ინგლისისა, საფრანგეთის ჩრდილოეთის მხრისა და ბელგიის ნაპირებზე. ძენელი წარმოსადგენია, რა აუარებელი ხალხი მიდის ეხლა ლონდონიდან. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ლონდონიდან ეხლა ყოველ დღე მიდის 30—50 ათასი კაცი და ათის რკინის გზის უზარმაზარი სადგურები გაქვდილია ხალხით და ბარგით. ლონდონი ცალიერდება და მხოლოდ საქმის კაცები და ღარიბ-ღა-

ტაქნი უხვდებიან ეხლა პროვინციებიდან მოსულს კაცსა და უცხოელებს, რომლებიც ამ დროს იშვიათად მოდიან აქ. ლონდონში ეხლა ადამიანს სული ეხუთება, განსაკუთრებით ძნელია გაძლება შუაგულ უბნებში, სადაც ღარიბ-ღატაკნი სცხოვრებენ. ამ ღარიბ-ღატაკთა ბუდე, ლონდონის სასირცხვილოდ, ჯერ კიდევ მრავალია ქალაქში.

ერთს ამ გვარ უზანზე, რომელსაც სახელად ეწოდება Whitechapel და სადაც ურიები სცხოვრობენ, უკვე მოგწერეთ. ამ უზანზედ, მგონია, უარესია კიდევ ის უბნები, სადაც ველურ ლონდონელებთან ერთად სცხოვრობენ უბედური იტალიელები და უსინდისო მაჰანკლები-ფრანგები, განთქმულნი ვაჭრები კოცხალის საქონელით და დამაარსებელნი საროსკოპო სახლებისა და კანკანისა სცენაზედა და ცხოვრებაშია.

როგორ გაჩნდნენ თაბაუჩები და მშრთათელები
(ოსური ლეგენა)
ქურთათის ხეობაში, სოფ. დაღაყაის სამხრეთის მხარეს, ხაქუნის მა-



დატანის შესახებ, რადგანაც ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ზენა-ქარის ჰქრის და ამის გამო დიდი სიციხეები და საშინელი მტვერი იცის, ამ განზრახვას თანაგრძობით მიეგება მაშინდელი მთავრობაც. მაგრამ ახლა სხვა-ნაირი აზრი დატრიალდა ამ საგნის შესახებ. მართალია, ქუთაისში ზაფხულობით ცოტა ცხელია და ქარიც იცის, მაგრამ ეს ისეთი დიდი უბედურება არ არის, რომ არ მოველოდოდეს; საკმარისია, ქუთაისის ქუჩები ზაფხულობით ყოველ დღე მოიწყას, რომ მტვერი სრულიად მოიხრას და, თუ ეს მოხერხდა, მაშინ ქუთაისს არაფერი უჭირს, პირიქით აქ ისეთი საუცხოვო ჰაერი და ჰავა არის, რომ შესაძლებელია საუკეთესო ავარაკადც გადაიქცეს. ამას ის მოსაზრებაც დედატა, რომ დაწესებულებათა გადატანას საქმეა ხარჯი, წვალბა და უხერხულობა მოსდევს, როგორც მოსამსახურე პირთათვის, ისე აქაურის მცხოვრებთათვის. რაც ამ აზრის განსახორციელებლად ფული მოუზღებდა მთავრობას, ის რომ ქალაქს სესხად მიეცეს და ქალაქში იზრუნოს წყაროს წყალი გამოიყვანოს სასმელ-სარწყავად, უმჯობესი იქნებოდა. ამ გარემოებით ისარგებლა ადგილობრივმა თვით-მართველობამ და სამს ავგისტოს გამგეობამ წარუდგინა საბჭოს საქმად დასაბუთებელი მოხსენება. მოხსენებაში გამგეობა ურჩევს საბჭოს სთხოვოს ადგილობრივ გუბერნატორს, რათა მან იშუამდგომლოს საცა რიგია იმის შესახებ, რომ მიეცეს ქალაქ ქუთაისს ხაზინიდან უსარგებლოთ იმდენი ფული, რამდენიც საკმარისი იქნება წყაროს წლის მიღებით გამოიყვანოსათვის.

ცხადია, ამ დიდსა და ძნელს საქმეს წინასწარი შრომა და მომზადება უნდა; ამ შრომას, რასაკვირველია, ხარჯი დასჭირდება. გამგეობა ხარჯად სამას მანეთს თხოულობს. საბჭომ არამც თუ შეიწყინარა ეს, არამედ სამასი მანეთის მაგიერ, ექვსასი მანეთის დახარჯვის ნება მისცა, ოღონდ ეს წინასწარი მომზადება საფუ-

ნაგით სხვაგან გაემგზავრა და ყმაწვილიც თან წაიყვანა; იარეს, იარეს და იმ ალაგს მიახვიეს, სადაც ეხლა ელხობი არის (არჯინ-არეგ „მინარეთ“) და იქ დაბინავდნენ. ამ ალაგას მგზავრები რამდენსამე დღეს უნდა დარჩენილიყვნენ. გამოქვეყნული ყმაწვილი კაცი, როგორც უმცროსი, ემსახურებოდა დახარჩენთ, უგდებდა ყურს ცხენებს და საზოგადოდ ყველა საქმეს აკეთებდა. მალე კოშკში (არჯინ-არეგ „მინარეთ“) სცხოვრებდა ერთი მშვენიერი მზეთ უნახავი ქალი, რომელმაც კოშკიდან შენიშნა ამ ყმაწვილის ასეთი სიყოფილე და სიმარადე. ქალმა ფარულად დაუძახა ყმაწვილს და დიდხანს ელაპარაკა. არ გასულა ბევრი ხანი, რომ ქალ-ვაჟმა ერთმანეთს ცოლ ქმრობის პირობა მისცეს. შემდეგ ქალმა უთხრა ვაჟს:

— წადი, გაიგე ბატონისაგან შენი ფსი და მოდი ისევ აქაო. ყმაწვილიც მივიდა ბატონთან და ჰკითხა თავისი ფსი. ბატონმა მიუგო „ოც-და-ათი თუმანიო“. ქალმა გადასცა ეს ფული და უთხრა, თავი დაიხსენიო. რო გაიგო ბატონმა, რომ ყმაწვილი აღარ ხუმრობდა და თავს ანებებდა იმ ქალის გულის-

ძალიანი და რიგინი იყოსო. სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ისეთი ხმოსნები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ამ წინასწარ მომზადებისათვის მეცნიერული ცოდნა არ არის საჭიროო. წყაროების პოვნა და მათში წყლის რაოდენობის გაგება ყველა სიკვდილის შვილს შეუძლიანო; თითქო ეს მომზადება უბრალო ოქმის შედგენა იყოს, ან თამასუქის დაწერა!

აღმოჩნდა, რომ ამ ოთხი ხუთის წლის წინად აქაურს ტენიკოსს ბ-ნ ძიწინიძეს დაუთვალეობა ახლობლის ადგილები თორმეტის ვერსის მანძილზედ ქუთაისიდან და უნახავს ისეთი წყაროები, რომელნიც მისცემდნენ ქალაქს დღე-ღამეში 150,000 ვედრა წყალს; ინტენერ კონრადის გამოკვლევით, იგივე წყაროები უფრო ნაკლებს მოგვცემენ, ვიდრე ძიწინიძეს გამოუჩინებია. ეს რაოდენობა წყლისა საკმარისი არ არის, რომ ქალაქის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ვერც ერთი ამ გამოკვლევითაგან საფუძვლიანად ვერ ჩაითვლება, ამიტომ ახალი გამოკვლევა საჭიროა. ამისთან ეს საქმე უნდა მიენდოს ადგილ-მდებარეობის მცოდნე და მეცნიერულად მომზადებულ კაცს.

ამისთანა კაცად ცნობილი იქნა გეოლოგი ბ-ნი სიმონოვიჩი. საბჭომ დაავალა ქალაქის მოურავს მისწეროს წერილი სიმონოვიჩს და დათვალეობები ქუთაისის მახლობლად მდებარე ადგილები 40—45 ვერსის მანძილზე და, რაც შეიძლება, მალე წარმოუდგინოს ქალაქს თავისი გამოკვლევა. შემდეგ ეს გამოკვლევა და დაწერილებითი ხარჯთაღრიცხვა წარედგინება მთავრობას.

მეორე განსახილველი და დასამტკიცებელი საგანი იყო დაარსება ქალაქის მიერ საკუთარს აფთეიქისა, საიდგანაც უუღარობეს მცხოვრებთ წამალი უფასოდ დაეთმობათ. უეჭველია, ცოტა შემოსავალსაც მისცემს ქალაქს ეს აფთეიქა, მოახსენა საბჭოს ქალაქის მოურავმა. გამგეობის ეს პროექტიც საბჭომ მოიწონა და დაავალა მას ამ პროექტის სისრულეში მოყვანა.

თვის, რომელიც კოშკში სცხოვრობდა, ყმაწვილს ამ სიტყვებით მიჰმართა: — აქამდის ჩემთან იყავი, კარგად ვცხოვრობდით, ამიტომ შენი წასვლა ძალიანა მწყინს, მაგრამ რა გაეწყობა, წადი, შენი თავის დასახსნელი ფული არ მინდა, როდემდინაც ჩემთან იყავი, არაფერი არ დაგკლებია, ახლა, რა-კი არ იშლი და მიიღებ, გაკურთხოს შემოქმედმაო.

სახსოვრად თავადმა ყმაწვილს აჩუქა თოფ იარაღი და ერთი კარგი ცხენი თავისის შემოკობილობით; ყმაწვილიც მალეობა გადაუხადა და გახარებულმა თავის დანიშნულისაკენ გამოასწია. შემდეგ შეყვარებულნი დაქორწილდნენ და ბედნიერათ ცხოვრება დაიწყეს.

ქალაქს დღემდის არა აქვს საკუთარი სამკურნალო, რომელიც, რა თქმა უნდა, მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მართალია ქუთაისში არსებობს კერძო სამკურნალო ბ-ნ თოფუ-რიასი, რომელიც საუცხოვო ადგილს არის და ამასთან მშვენიერად მოწყობილია, იგი დიდს სამსახურს უწევს არა მარტო ქალაქ ქუთაისს, არამედ მთელს გუბერნიას, მაგრამ ის მიანცვერ აკმაყოფილებს ყველა მსურველის მოთხოვნილებას, მეტადრე დარბის ხალხისას, რომელსაც არ შეუძლიან დღე-ღამეში ორი და სამი მანეთი გაიღოს; ამას გარდა ეს სამკურნალო არ იღებს გადამდების სენით შებყრობილ ავადმყოფებს.

ქალაქის მოურავმა განუმარტა საბჭოს ის, თუ რამდენად საჭიროა ქალაქისათვის საკუთარს სამკურნალოს დაარსება. სხვათა შორის აი რა სიტყვა არის მრავალი ქუთაზე შეშლილი, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დაწინწალებენ. შეიძლება მათ რაიმე უბედურება შეამთხვიონ ვისმეს; ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ ერთს ამისთანა უბედურს ქალს ქუჩაში უშვანია შვილი; ნუ თუ ქალაქი ზნეობრივ მოვალე არ არის იზრუნოს ამისთანა უბედურთათვისო! არიან კიდევ მეორე ნაირი უბედურნი: მე მოგახსენებთ ავადმყოფ როსკიპ ქალების შესახებ, რომელნიც განსაკუთრებულ სახლებში და კერძოდ ცხოვრობენ, ესენი თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან ექიმობას, რადგან ქალაქს არა აქვს საკუთარი სამკურნალო, სადაც მათ შეეძლოთ თავი შეაფარონ ავადმყოფობის დროს. ვინ იცის, რამდენი მცხოვრები ხდება მათგან ავად და უღროვოდ ესაღმება წუთი-სოფელს! ეს ქალები ხშირად სოფლებში მიდიან და ავრცელებენ სენს. აქამდის სამხედრო სამკურნალო კისრულობდა ამ გვარ ქალების მოარჩენას, მაგრამ ეხლა ამ სამკურნალოდ გამოაცხადა, რომ მომავალში აღარ მივიღებ ასეთ ქალებსო. ქალაქი, სიტყვა ბ-ნმა ლოლოუმ, პირველ ხანს დიდის სამკურნალოს დაარსებას ვერ შესძლებს.

ერთს დღეს ცოლმა დალონდა შეატყუა ქმარს და ჰკითხა მიზეზი, ქმარმა უთხრა: მე მყავს მოხუცი დედამა, რომელნიც „ხაკუნას“ მთავედ ცხოვრობენ. აი, სწორედ ეხლა მომავლდა ჩემი დედამა და ამიტომ დავლონდი.

— თუ-კი მშობლები გყავს, სიხარულით მიჰმართა ცოლმა, იმაზედ კარგი რაღა იქნება, წავიდეთ და ვნახოთ.

რადგან საქმეო საშუალება არა აქვს; საშუალებისთვის ისევ მთავრობას უნდა მივმართოთ და უსარგებლო სესხი ვსთხოვოთ; იმედი მაქვს, რომ მთავრობა შეიწყნარებს ჩვენს თხოვნას და გვასესხებს საჭირო ფულსაო. ეს წინადადება საბჭომ სიამოვნებით მიიღო და დაავალა გამგეობას შუამდგომლობა დაიწყოს მთავრობის წინაშე.

გამგეობის გამოანგარიშებით ისეთი სამკურნალოს გამართვას, სადაც 30 ავადმყოფის მოთავსება შეიძლებოდეს, დასჭირდება წელიწადში ოცდაათი ათასი მანეთი, ხოლო ექიმი ბ-ნი ნაზაროვი, რომელსაც რუსეთის საერობო სამკურნალოებში უმსახურნია, ამტკიცებდა, რომ თვითთულის ავადმყოფის შესანახად საკმარისი იქნება წელიწადში 500 მან. დღიური გადასახადი მომავალ სამკურნალოში ზემოხსენებულ ავადმყოფ ქალთათვის ათი შაური დაინიშნა.

ამ კრებაზედვე შეიცვალა პურისა და კამეჩის ხორცის ნიხრი. გირვანქა მესამე ხარისხის პური უნდა გაიყიდოს 3¹/₂ კაპ.; კამეჩის ხორცი—პირველი ხარისხისა გირვანქა 6 კაპ., მეორე 5 კაპ.

ზიარელი

დაბაჯ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფელი წრომი, (გარას მახრას). წრომი კარგა გაკეთებული სოფელია. საუფაფურებოთ აქაური მიწა ნაჭებაა და, უმეტესი ნაწილი მებატონას სეღში რომ არ იყოს, იშვიათად მოინდურებს სოფელის გულსა. რა-კი სხვა შემოსავალი არა აქვს, მებატონე სცდილობს, რაც შეიძლება მეტი ისარგებლოს თავის მამულით და ორიადე მარცხალი მეტი აჭყაას. მაინც და მაინც აქაური გლეხები შექმლებული არიან, რადგანაც ისინი მარტო მიწის შემოსავალს არ აჩრადებან, აჭკე ახლავა სცდიანო ტყე; ახლა-მასლა გლეხებს და მათ

ცოლის რჩევა ქმარს ქუთაში დაუჯდა; ამიტომ ცოტა ხანს უკან იდგა და გზას გაუღდა ცოლითურთ. მაგრამ ხაკუნას მთას რომ მიუახლოვდნენ, ყმაწვილმა მამის სახლში პირდაპირ მისვლა ვერ გაჰბედა. იმავე მთავედ ხაკუნას ქვევით, „ვალასის“ (ასე ეძახდნენ იმ ადგილს) აიშენა პატარა კოშკი და ცოლ-ქმართ იქ დაიწყეს ცხოვრება.

ერთ დღეს, როდესაც ყმაწვილი მიდამოებს ათვალეობდა, მალე მთის მწვერვალადგან მამამ შენიშნა თავის მიწაში ახალი კოშკი და გუნებაში გაიფიქრა: „ვინ არის, რა კაცია ეს, რომელმაც გაჰბედა ჩემს ნება-დაურთველათ ჩემს მიწაში კოშკის აშენებაო“ და ახლის კოშკისაკენ დაეშვა. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ კოშკის პატრონი იმისი შვილი ყოფილა, დიდს სიხარულს მიეცა, შემდეგ ადგა და თავათაც გადასახლდა შვილთან ხაკუნადგან „ვალასის“ და სიკვილიამდინ იქ ცხოვრებდა. ყმაწვილს ორი ვაჟი გაუჩნდა, ერთს მათგანს „ქურთა“ დაარქვა, ხოლო მეორეს „თავა“. არ გასულა ამის შემდეგ ბევრი ხანი, რომ მშობლები დაიხოცნენ.

ქურთასა და თავას შინ გაზდილი

შორის წრომიდან სოფელი წრომი. სოფელი გამოაქვთ და ჭევიანს. სოფელი შექმლებულია ზღვისა და ზამთარს ორმაგ-სამაგ თუქმანს გადასანახუნეს. მანახუნებულს ფულს ისე არ აჩრებს, ან მაშინვე ავალბეს საჩუკლოთ, საჩუკლოთა კი აქ უდემართო იტანს, ბეგრ-ჯერ შეეკედრებო, რომ მასიადგან კალოაბადის თუქმანი ხუთ მანათად გაუცნათ, ან არა და, თუ მოსესვლა, მამულსა უიდელობს; სოფელი გლეხის სახატონოს ადარც-კი ჰხნავს.

თუქმან ეს ასეა, მაგრამ სოფელს ჯერაც არც ერთი საზოგადო საჭიროებასათვის არ მიუქრებია ყურადღება. სოფელსა და სხვა ამგვარს ვინა სხივის, სოფელს წვალიც-კი არა აქვს. შუაში მიწანწარებს ერთი მანაწა რუ, რომელიც შირველ გაზაფხულს ისე მოდიდება, რომ ახსრებს აჭურბასს, შუაზაფხულს-კი ისე დაეკარგება, რომ გაზაფხულს ადიდებას ნატამაღიც აღარ რჩება. დასალეუ წვალებითის კერსადან ზადაკენ შურგითა და ამ არა მშენიერ საქმეს მშენიერა სქესის წარმომადგენელნი ასრულებენ. (ერთხელ აქეთ მხარეს ქალის მოტარება გახშირდა; გაჭირდა საქმე; ქალმა წვაღზე აღარ გაბეგზახუნებ და ჩვენ საწულეა ვინაღამ დავიხარებთ წვლის წურვავითა.) გლეხები დიდი ხანის გრძნობენ ამ გაჭირებას, მაგრამ სარცარას, რომ აქამდინ ვერ მოუხერხებათ წვლის გამოყვანა. ყოველ წვლიწადს შეაკრებობან, იყვანებენ, იყვანებენ და წვა-წამოვლენ; ათი წვლიწადიც იქნება, რაც მონღომებულება არიან წვლის გამოყვანას, მაგრამ ჯერაც ვერას აჩრებენ.

წრეულან შეაკრებინენ გლეხები წვლის გამოყვანის შესახებ მოსალაპარაკებლად. ოსტატოდ მოიწიეს და მორიგდნენ კადეც. მებატონეებმაც, თითო ორთლას გარდა, ყველამ მოინდომა, მაგრამ სოფელისათვის გაჭაბონის წვალბით ეს საშვილიშვილთა საქმე მაინც ვერ განხორციელდა.

მღვდლის შვილი

მიმინოები ჰყავდათ. ერთხელ, როდესაც ნადირობდნენ, ძმების მიმინოები წაიჩხუბნენ და ქურთას მიმინომ დასძლია თავას მიმინო; თავამ იფიქრა: „ეს კარგი ნიშანი არ არის, როგორც ჩემს მიმინოს მოერიო ჩემი ძმის მიმინო, შეიძლება მეც როდისმე ისე ჩემი ძმა მომერიოსო“. ამიტომ ადგა და დარღვის ხეობაში გაიქცა, სადაც ამ დროს ქისტები სცხოვრობდნენ. თავამ დაამარცხა და განსდევნა ქისტები დარღვის ხეობიდან და თვით დაიწყო ცხოვრება, ქურთა კი დარჩა თავის ალაგას. იმისაგან ამ ხეობამ სახელწოდება მიიღო: „ქურთათის ხეობა“. ქურთათის სამი შვილი ჰყავდა „ვალასის“, „თემბოლ“ და „ნაიფონ“, რომელთაგან წარმოსდგნენ ქურთათელები, ე. ი. ქურთათის ხეობაში მცხოვრებნი. თავასაგან-კი, რომელიც დარღვის ხეობაში გაიქცა, წარმოსდგნენ, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, „თავაურები“ ოსურათ („თავათა“) თავაურები შემდეგ სხვა ადგილსაც გადასახლდნენ.

ქართველი ოსებში

